აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს

საბჭოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს

საბჭოს შორის ურთიერთთანამშრომლობის

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ქ. ბათუმი **23 სექტემბერი, 2019 წელი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო (შემდგომში „აჭარის უმაღლესი საბჭო“) წარმოდგენილი „აჭარის უმაღლესი საბჭოს“ თავმჯდომარის - დავით გაბაიძის სახით და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო (შემდგომში „აფხაზეთის უმაღლესი საბჭო“) წარმოდგენილი „აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს“ თავმჯდომარის - ჯემალ გამახარიას სახით (შემდგომში - მხარეები), ხელმძღვანელობენ რა, თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებით, მხარეებს შორის ურთიერთობების გაღრმავებისა და ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, ხელს აწერენ წინამდებარე მემორანდუმს:

მუხლი 1

მემორანდუმის მიზანია: „აჭარის უმაღლეს საბჭოსა“ და „აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს“ შორის თანამშრომლობის გაღრმავება, გამოცდილების გაზიარებით, ერთმანეთთან კოორდინაციით, ერთმანეთის რესურსების გაცვლითა და ხელშეწყობით საქმიანობის ეფექტურობის გაზრდა.

მუხლი 2

მხარეები შეთანხმდნენ, რომ მემორანდუმის მიზნების მისაღწევად ითანამშრომლებენ შემდეგ სფეროებში:

1. „აჭარის უმაღლეს საბჭოს“ კომიტეტებსა და „აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს“ კომისიებს შორის კანონშემოქმედებით სფეროში მჭიდრო ურთიერთობის ჩამოყალიბება და მათი შემდგომი გაღრმავება;

2. „აჭარის უმაღლესი საბჭოს“ კონტროლის განხორციელების მექანიზმების გამოყენების სფეროში არსებული გამოცდილების გაზიარება;

3. „აჭარის უმაღლეს საბჭოსა“ და „აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს“ შორის ინფორმაციის გაცვლა, თანამშრომლობა სამუშაოს შესრულების გამოცდილების გაზიარების მიზნით, კონსულტაციების გაწევა;

4. ერთობლივი სხდომების, სამუშაო შეხვედრების, სემინარების, კონფერენციების ორგანიზების ხელშეწყობა;

მუხლი 3

მხარეები შეთანხმდნენ, რომ თანამშრომლობის კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვა, ერთობლივი მოქმედებების განხორციელების რეგულირება, მოხდება მხარეებს შორის შემდგომი მოლაპარაკებებისა და კონსულტაციების გზით, წინამდებარე მემორანდუმის პრინციპებისა და მიზნების საფუძველზე.

მუხლი 4

1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

2. მემორანდუმში ცვლილებები ფორმდება მხარეებს შორის შეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით და განიხილება წინამდებარე მემორანდუმის განუყოელ ნაწილად.

3. მემორანდუმის შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით ან ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. ასეთ შემთხვევაში, მემორანდუმი შეწყვეტილად ჩაითვლება შეტყობინების გაგზავნიდან ერთი თვის შემდეგ.

4. მემორანდუმის ტექსტი შედგენილია 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

დავით გაბაიძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბ. მეგენეიშვილის ქ. N25

დაბა ჩაქვი, საქართველო

ტელ: 032 2 28 54 25

ვებგვერდი: www.sca.ge

ელფოსტა: contact@sca.ge.

ჯემალ გამახარია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ვაჟა-ფშაველას გამზ. 16

თბილისი, საქართველო

ტელ: **2 37 58 15**

ვებ-გვერდი: www.scara.gov.ge

ელ. ფოსტა: scofara@gmail.com